სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №28

2011 წლის 29 აპრილი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 44-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები დანართი №1-ის შესაბამისად.
2. ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 იანვრის №10 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაშია „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბ. ნარმანია

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობათა სარგოები (ლარებში)
1	2	3
	მთავარი საჯარო თანამდებობა	
1	გამგებელი	2360
	წამყვანი საჯარო თანამდებობა	
2	გამგებლის მოადგილე	900
	უფროსი საჯარო თანამდებობა	
3	სამსახურის უფროსი	700
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
5	გამგებლის თანაშემწე	450
6	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის რწმუნებული	400
	უმცროსი საჯარო თანამდებობა	
7	მთავარი სპეციალისტი	420
8	წამყვანი სპეციალისტი	380
9	უფროსი სპეციალისტი	350
10	სპეციალისტი	330